# სახალხო გაზეთი

№ 930 პარასკევი, 28 ივნისი 1913 წ. № 930

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



**სახალხო გაზეთი**

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი მკათათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **4 მ. 50 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.


ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში გარდაიცვალა

**ექიმი სვიმონ ილარიონის ძე გძელიშვილი,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის **ქვრივი სოფიო პავლე ასული- ძმა მღვდელი გრიგოლ ილარიონის ძე გძელიშვილი, და ეკატერინე ილარიონის ასული დადიანიძე და რძალი ქეთევან თომას ასული გძელიშვილისა შვილებით.** პანაშვიდები იქნება ქვაშვეთის ეკლესიაში დღეს, 28 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე.

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1399

სოფელ გურჯაანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი **გიორგი გიორგის ძე ციბალოვი თავის მეუღლით, დებით და სიძეებით** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას თავის ძმისა—შტატ გარეშე მყოფ

**მღვდლის გიორგი ციბალოვისას**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 8 საათზე, ხოლო დაკრძალვა 29 ივნისს გურჯაანის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში. 391

27 ივნისს, ნაშუადღევს, მტკვარში ბანაობის დროს დაიხრჩო ქართულ გიმნაზიის მესამე კლასის მოწაფე

**შალვა ივანეს ძე ხანდამაშვილი,**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გულდამწვარი დედა მისი **ს შა (ალექსანდრა)** და **მამა ივანე (მიმინო) ხანდამაშვილები.** დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.





## ძმ. აზგარცების ცირკი

მიხეილის პროსპ., № 131, „აპოლლოს“ თეატრის გვერდ.

პარასკევს, 28 ივნისს, 1913 წ.

**მ. ი. ლიტვინოვის** საბენეფისოდ

გაიმართება

**დიდებული წარმოდგენა.**

დასი სრულიად განახლებულია. მონაწილეობას მიიღებს **ოთხი ეშმაკი**, ჰაეროვანი, სოლცარი ხალხი. შეუდარებელი ხუმარების **ლიპოვის** პირველი გამოსვლა. გარდა ამისა **სამი საინტერესო ჭიდაობა.** ცნობილი მოჭიდავე **კოკაშვილი** დაეჭიდება **ზაგორუიკოს, ლიტვინოვი—შავ მასკას, ადირეი—კრაზაევს.** 383

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½— . ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და ს. მშობ სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 0—1.<br>**ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყურ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035


## დღეს 28, შაბათს 29, და კვირას 30 ივნისს,
## მუშტაიდში გაიმართება
# ს ე ი რ ნ ო ბ ა

**ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველ. წრის სასარგებლოდ.**

დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე. **შესვლა უფასოა.** 392


**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული**

## მ ვ ი რ მ ვ ი ნ ი

**ფასი ერთი მანეთი**

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სომეხული ტ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371


**კვირას, 30 ივნისს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში** (ბელინსკის ქ. № 2), დანიშნულია

## „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრთა
# წლიური კრება

**კრების საგნებია:**

1. ე. თაყაიშვილის მოხსენება: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“.
2. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1911-ისა და 1912 წლისა; აგრეთვე სარევიზიო კომისიის აქტი.
3. სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვა 1913 წლისათვის.
4. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმ ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხი.
5. ვაკის მამულის (1 დესეტინა) გაყიდვის საკითხი.
6. საბჭოს წევრების, მათი კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრთა და საზოგადოების ახალ (საპატიო და ნამდვილ) წევრთა არჩევანი.

კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

მდივანი **ს. გორგაძე.** 389


## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**დრამატიული თხზულებანი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ადამიანის ცხოვრება. თარგმანი. | ფასი 50 კ. | მეგობრობა. დრ. 4 მოქმ. | „ 30 „ |
| ბედმა მილატა. კომ. 3 მოქმ. | „ 20 „ | მეზობლები, დრ. 4 მოქმ. | „ 40 „ |
| ბრძოლა არსებობისათვის დრამ პოემა. | „ 60 „ | მოლიერი, დრ. თხუზ. | „ 50 „ |
| გაყრა. გ. ერისთავისა | „ 5 „ | მარო. დრამ. ნაწყვ | „ 3 „ |
| გამცემი. დრ. 3 მოქმ. გედევ. | „ 25 „ | მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია. | „ 50 „ |
| გ ლატაკებული ოჯახი, დრ. 3 მოქ | „ 10 „ | მაკბეტი, ნათ. ი. მაჩაბლ. | „ 40 „ |
| დარბეული. დრ 4 მოქმ | „ 30 „ | ნაძირალნი. გორკისა. | „ 25 „ |
| დრამ. თხზულებანი დ. ერისთავ. | „ 1 მ. | ნატვრის თვალი. | „ 40 „ |
| დილი. დრ. 3 მოქმ. | „ 20 „ | ორი პიესა, ტრ. რაზიშვილ შეშლილნი და კრიტიკოსთან. | „ 25 „ |
| დრამები და კომ. „სორაპ.“ გამოც. | „ 1 მ. | ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი მეფობენ. | „ 50 „ |
| ვაი ჭკუისაგან, გრიბოედ. | „ 35 „ | ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ. | „ 40 „ |
| ილია დღე ქიათურაში | „ 20 „ | პანთეონი ქართ. თეატრისა: 1) იბვიანა, 2) ბნელ ოთახში, 3) ახირებულია. | „ 30 „ |
| კენჭის ყრა. ს ენ. 4 მოქმ. | „ 50 „ | | |
| მამა-შვილნი, ანუ გაუბ. 3 მოქმ. | „ 15 „ | | |
| მტარვლის ბედი. დრ.. | „ 10 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

ოქროს მედალი რომის გამოფენაზე 1910 წ.

## შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
## ძმ. ტარნოპოლევისა.

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკო 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცხიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უცილობლივ ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაბაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**გ. გ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1035

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ტ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი** **ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324


## სახელმწიფო საბჭო

(დეპ. პეტ. სააგენტო).

**26 ივნისი.**

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს. საფინანსო კომისიის მოხსენებით უკამათოდ მიიღეს სათათბიროს რედაქციით 64 კანონ-პროექტი. მათ შორის კანონ-პროექტი შესახებ ბათომის სასარგებლოდ გადასახადის აღება იმ გემებიდან, რომელიც ბათომის ნავთსადგურს გაივლის. ამ კანონ-პროექტის შესახებ **უნტერბერგერი** განმარტავს, რომ ეს კანონ-პროექტი უკვე იყო საბჭოში 1912 წელს და კომისიამ წინადადება მოგვცა უარგვეყო, მაგრამ საბჭომ თავი დაიჭირა და უარყოფის საკითხი გადასდო სანამდის შინაგან საქმეთა მინისტრი, კავკასიაში მეფის მოადგილე და ფინანსთა მინისტრი ცნობებს არ წარმოადგენენ. ეხლა ცნობების მიღების შემდეგ კომისიამ კანონ პროექტი მისაღებად სცნო, თუმცა სათათბიროს რედაქციის შესწორებით. სხვათა შორის სათათბირომ, დაადგინა, ეპატიოს ბათომს ხაზინის ვალი 404.443 მან., ფინანსთა-მინისტრის მოხსენებით, ბათომს არა აქვს პატივსადები საბუთი, რომლის მიხედვით ვალი ეპატიოს. ამიტომ კომისია არ ეთანხმება ამ შემთხვევაში სათათბიროს, დანარჩენში კი სრულიად ეთანხმება. კანონ-პროექტი 10 წლის ვადით უნდა გამოვიდეს. ძალაში შესვლის ვადა კი 1914 წლის 1 იანვარი იქნება.

**ავდაკოვი.** ბათომი ღირსი არ არის განზრახული პატივებისა, რადგანაც ბათომის ცუდი ფინანსიური მდგომარეობა ქალაქის გამგეობის ბრალია. წინააღმდეგია, რომ ვაჭრობა-მრეწველობას დაატყდეს გადასახადი ბათომის სასარგებლოდ მოითხოვს კანონ-პროექტის უარყოფას.

**თავ. ერისთავი:** იცავს კანონპროექტს. მოჰყავს დანამდვილებითი რიცხვობლივი საბუთები და ამტკიცებს, რომ ბათუმის ფინანსიურის მხრივ ცუდი მდგომარეობა გამოიწვია საფუთო გადასახადის 1901 წელს მოსპობამ, აგრეთვე გავლენა იქონია ბათუმის ახალი გადასახადით დატვირთვის სანავთე ქალაქის შესანახად.

**ბაგალეი.** ემხრობა ერისთავის აზრს.

**ლიკოშინი** შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი: ბათუმის ცუდი მდგომარეობა მოითხოვს საფუთო გადასახადის შემოღებას, წინაღმდეგ შემთხვევაში ბათუმი დაიღუპება. აცხადებს, რომ კანონ-პროექტს მხარს უჭერს მთავრობა და მთავრობის სახელით სთხოვს საბჭოს მიიღოს.

**ნიკოლსკი.** მეფის მოადგილის სახელით აცხადებს, რომ კომისიის შესწორება მისაღებია. ავდაკოვის საპასუხოდ ამბობს, რომ სანავთე ქალაქი ბათომში მრეწველობისათვის არის გაშენებული. მაშ, რაუშავს რომ მრეწველობაც დაეხმაროს ქალაქს.

წაკითხვის შემდეგ საბჭომ მიიღო კანონპროექტი კომისიის რედაქციით და დადგინა შესწორების გამო დაუბრუნოს საქმე სათათბიროს ხელ ახლად განსახილველად.

შემდეგ მოხდა არჩევნები შემთახმებელ კომისიისა.

კრება შესწყდება.

კრების განახლების შემდეგ საბჭომ განიხილა 1913 წ. ხარჯთგანაწილება სათათბიროს დადგენილების მიხედვით. საბჭო იღებს კანონპროექტებს შემთახმებელ კომისიების დადგენილების მიხედვით. გარდა სკოლათა საამშენებლო ფონდისა. საბჭომ **გურკოს** მოხსენების შემდეგ, რომ სათათბიროს მოხსენებაში გაუგებრობა იყო და ამიტომ საბჭომ თანხა შეამცირა და 14 მილიონი ამ საქმისათვის უმცირესი რიცხვია, დაადგინა მიიღოს სათათბიროს რიცხვი—14 მილიონი 8 მილიონის მაგიერ, რომელიც საბჭომ პირველად გადასწყვიტა. 28 უთანხმოებასთან, ხარჯთ განაწილებაში, შეთანხმებულია მხოლოდ 4. შემდეგი კრება 1 ივლისისათვის დაინიშნა.


**ექიმი ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

**კბილის ექიმი ა. გ. ხოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოთი 5—7 ს.-მდე. გოლოვინის პრ. № 12. 1334


# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **სრულიად რუსეთის ექიმთა ბუნებისმეტყველთა მე-XIII კრების მონაწილეთა ჯგუფის წერილი.** ვსტოვებთ რა კავკასიას, მე-XIII კრების წევრთა ერთი ჯგუფი უძღვნის სალამსა და გულწრფელ მადლობას საერთოდ კავკასიის ერებს და განსაკუთრებით კი ქართველებს, იმ სტუმართმოყვარეობასა და გულღიაობისათვის, რომლითაც დაგვიხვდნენ ჩვენ ტფილისში და მის არე-მარეში ყოფნის დროს. ალექსანდროვი, ბლინოვი, ბოგომილოვი, ბელზოვიჩი, ბორისოვი, ბისტრიცკი, ვასილიევი, ვოლხოვსკაია, გალიუნი, გერმაშევი, გრაჩოვი, ზახაროვი, კოზლოვი, ლეძელი, ლიახოვსკი, მაკარაევი, ნაზაროვი, ნიკოლსკი, ორლოვი, პარხომენკო, მამანოვი, რუსინოვსკაია, რუსინოვსკი, სელეზნოვი, სერგეევი, სიდოროვა, ილბედსკი, სოლოვიოვი, სტეპურინი, პ. ტერენტიევი, უბაკოვი, ცეშკოვსკი, ჩისტიაკოვი, ჩისტიაკოვი, შიბკინი.

✦ **გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** თიანეთის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა.

✦ 27 ივნისს საზღვარგარეთიდან ტფილისში ჩამოვიდა ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი **ალ. შანშიაშვილი.**

✦ **მტკვარში დაიხრჩო** ბანაობის დროს გიმნაზიელი შალვა ივნეს ძე ხანდამაშვილი, 15 წლისა.

✦ **უგანათლებულეს თ-დის ასულის ო. ი. გრუზინსკის მემკვიდრეობა.** გაზეთების სიტყვით, გარდაცვალებულ უგანათლებულეს თ-დის ასულს ო. ი. გრუზინსკის დიდი მემკვიდრეობა, მომეტებულ ნაწილად მამული, დარჩენია, რომელიც 100,000 მან. ღირს. როგორც ამბობენ, განსვენებულს სიცოცხლეში სურვილი გამოუთქვამს, რომ მოსკოვის მახლობლად მდებარე მამულში „შარაპოვო“-ში დაარსდეს ახალშენი ღარიბ ქართველთათვის. განსვენებულმა დასტოვა მრავალი ნივთი, რომელიც ქართველთა მეფეებს ეკუთვნოდა: ავეჯეულობა წითელის ხისა ღერბებით, შესანიშნავი როიალი, სურათები, ქანდაკებანი, ჯვარი ქართველ მეფეებისა წმ. გიორგის ნაწილებით. განსვენებულს, როგორც ამბობენ, ანდერძი არ დაუტოვებია და მთელი მისი ქონება გადავა მისი ძმის ნ. ი. გრუზინსკის განკარგულებაში.

✦ **ექიმის სვ. ილარ. გძელიშვილის გარდაცვალება.** 26 ივნისს, ღამის 10 საათზე, მელიქიშვილის კერძო სამკურნალოში უდროოდ გარდაიცვალა წყალმანკით ჩვენში საკმაოდ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ექიმი სვიმონ ილარიონის ძე გძელიშვილი. განსვენებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, სულ 48 წლისა და ენერგიით სავსე და მისი დაკარგვა ამის გამო თვალსაჩინო დანაკლისად უნდა ჩაითვალოს ქართველ საზოგადოებისთვის.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება დანიშნულია 30 ივნისისათვის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში.

✦ ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი** ამით აცხადებს, რომ **საზო-**

გადო კრების გაგრძელება შესდგება ორშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე ქართულ გიმნაზიის სადგომში.

✦ **საბირჟო ცნობები.** 27 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებენ—85 მ. 45 კ., აძლევენ—84 მან., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მან. 25 კაპ., აძლევენ—83 მან. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო საადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მ. 50 კ., აძლევენ—79 მან., 50 კაპ.

✦ **გოლოვინის პროსპექტზე მომხდარ უბედურების გამო.** 26 ივნისს შიოევისეული საქალაქო შენობა შერეულმა კომისიამ დაათვალიერა, კომისიაში შედიოდნენ: ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრები, მ. ნ. ათაბეგოვი, გ. დ. ჟურული და მ. ა. ჯაბარი, „კრუჟოკ"-ის წარმომადგენელნი ინჟენრები: ნ. მ. დენისენკო და ა. მ. ლანჩევსკი, „კრუჟოკ"-ის მამასახლისნი ნ. მ. ტურბოვიჩი და ა. კ. კუჩენბახი, ქალაქის ტეხნიკოსები: პ. ა. ზურაბიანცი, ს. ი. ლისიციანცი, ი. ი. ტერ-ოგანოვი, ს. ა. ბუხარინსკი, მ. ა. აბესალომოვი, ქალაქის მხოსანი-ტეხნიკოსები: ნ. ა. ხარაზიანი და ს. ა. ქსავერიევი. ახსნა-განმარტებას აძლევდა ინჟენერი დ. გ. ჩისლიევი. კომისია არ შესდგომია ამ ჟამად იმის გამოკვლევას, თუ რამ გამოიწვია გამირის ჩამოწოლა და ერთხმად ალიარა შემდეგი: 1) გამირის ჩამონგრევას არავითარი კავშირი არა აქვს შენობის კედელთან, 2) შენობის კედელი იმდენად მკვიდრია, რომ შეიძლება მესამე სართულის დადგმა იმ პროექტით, რომელიც უკვე შედგენილია და 3) პროექტი ტეხნიკურის მხრით ადვილად განსახორციელებელია.

— მომხდარ უბედურების მსხვერპლნი გუშინ დაკრძალეს. ხალხი ბლომად დაესწრო დაკრძალვას.

✦ **ჟურნალი „განათლება".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „განათლების" ივნისის (№ 6) ნომერი.

შინაარსი: 1) სქესობრივი საკითხი, წერილები დასთან VI ივ. გომართელი. 2. ბუნება და სამკურნალო მეცნიერება, ჰიგიენა, ტყე და მისი ჰაერი—ილ. ალხაზიშვილი. 3. „ვეფხის ტყაოსნის" შეუგნებლობა—დ. კარიჭაშვილი. 4. კიდევ ქ-ნ მ ნოს საბავშვო ბაღის შესახებ - კატო ბაქ - ძე. 5. სუსტ ნერვებიანი ბავშვები და მათი აღზრდა—ილ. ფერაძე. 6. კიდევ ფიზიკური შრომის მნიშვნელობის შესახებ—გრ. საქარიქედელი. 7. ჰაერის მნიშვნელობა ჯანმრთელობისათვის—გერასიმე. 8. ადამიანის უძლურება და ბედისწერა ლევ ანდრეევის თხზულებებში—გ. ნათაძე. მოგონება დაუვიწყარ ია იაკობ გოგებაშვილის შესახებ (გარდაცვალებიდან წლის თავის შესრულების გამო) სურათებით—ივ. გ-რი. 10. ფაქსიმალე იაკობ გოგებაშვილისა. 11. ჩაგვიქრ.ს (ლექსი)—შიო მღვიმელი. 12. გულის ზრახვა—ილ. გოგია. 13. ჩანგის ხმა—ვაჟა-ფშაველა. 14. ნ წყვეტები—ვ. გორგაძე. 15. დროთა მ მდევარობა ქართულ ენაში—პეტრე მირიანიშვილი. 16. ახალციხე (ეთნოგრაფიული აწერილობა)—მესხი კ. გვარამაძე. 17. სპედაგოგიო გამოფენა ქართულ გიმნაზიაში—გ. საქარიქედელი. 18. სახალხო სკოლის ცხოვრებიდან—სავლე აბულაძე. 19. სახალხო სკოლების გარშემო (წერილი გურიიდან)—მ—შვილი. 21. დამატება: ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა: მონ ენებანი ფოთის, სამტრედიის, სოხუმის, გომარეთის, თელავის და წინარეხის სკოლებისა და განყოფილებათა შესახებ.

### სასწავლებლებში

✦ **სამართალში მისცეს** სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით სახელმწიფო სათათბიროს წევრი სკობელევი, რომელმაც ბაქოს ვაზეთ „ნაშე სლოვო"-ში წერილი დასტამბა შემდეგ სათაურით: „დროა ვიფიქროთ".

### ცემი.

✦ 24 ივნისს ცემში იყო დღეობა „ივანობა". ხალხი აუარებელი დაესწრო როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე ახლო მახლო სოფლებიდან ჩამოსული მოაგარაკენი.

### წალვერი.

✦ 24 ივნისს განთიადისას 4 ნახევ. საათზე მიწის ძვრა იყო.

## ტფილ. გუბერ. თავ.-აზნ. საგანგებო კრება

25 ივნისს სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზე თავ. კ. აფხაზის თავმჯდომარეობით, ანგარიშების წაკითხვისა და დამტკიცების შემდეგ კრება შეუდგა თავად-აზნაურობის მიერ პოლიტეხნიკუმისათვის შეწირულ მიწების საკითხვის განხილვას.

**ნ. საგინაშვილმა** კრებას მოახსენა ამ საკითხის ვრცელი ისტორია.

თავ. **კ. აფხაზმა** დაუმატა, რომ კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რათა ამ მიწების განაღდება თავად-აზნაურობას ეკისრა, მაგრამ მე ვუპასუხე: ეს საქმე არ ძალმიძს თქო. გუშინ კი კომისიის თავმჯდომარემ, ბ. გაკკელმა მთხოვა, რათა კრებამ განიხილოს საკითხი. იმის შესახებ, რომ შეიძლება შემომწირველთ გამოსცვალონ თავისი პირობა—რადგანაც პოლიტეხნიკუმს ოთხი განყოფილება ექნება, შეიძლება ორი საბურთალოზე აშენდეს და ორიც ნავთლუღში.

თავ. **დ. ჯორჯაძე** ასე საკითხის დასმა შეუძლებელია. პოლიტეხნიკუმის ორ პირველ კურსზე ყველა განყოფილებაში ერთსა და იმავე საერთო საგნებს ასწავლიან საიდან სად უნდა ირბინონ სტუდენტებმა. საბურთალო ნავთლუღს 15 ვერსით არის დაშორებული.

თავ. **კ. აფხაზმა** დაამოწმა, რომ შემომწირველნი მტკიცედ ადგანან თავიანთ პირობებს.

თავ. **ამირაჯიბს** უკვირს, როგორ ეგებება ქალაქი ასეთ საჩუქარს. თავად-აზნაურობის ღირსებას არ შეჰფერის, რომ საჩუქარს ძალით ვახვევდეთ ვისმე თავს. ეს შეწირულება გულწრფელობით იყო გამოწვეული. გვსურდა ახალი ტეხნიკუმს დავხმარებოდით და თუ არ მიიღებენ—ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

**მ. მაჩაბელი.** მე ძლიერ მაოცებს ერთი გარემოება. ქალაქის წარმომადგენლები საზოგადოებას ემუქრებიან: თუ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში არ იქნება აშენებული, ქალაქი პოლიტეხნიკუმის დახმარებაზე უარს იტყვისო. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ჩვენ, დანარჩენი შემწირველნი ქალაქის ნაწილს არ შევადგენთ? ნუ თუ ქართველი თავად-აზნაურობა, რომელთა სისხლით არის დაცული ჰაღარა ტფილისი, ქალაქის მცხოვრებთა ნაწილი არ არის? ნუ თუ ვერაზე, ვაკეში და ნაძალადევში მცხოვრები ქართველები მოქალაქენი არ არიან? დიდუბისა, კუკიისა, ნაძალადევისა და საბურთალოს მცხოვრები სხვა ერები ქალაქს არ ეკუთვნიან? ვის წინააღმდეგ მიდიან ქალაქის წარმომადგენელნი, ვის ინტერესებს იცავენ ისინი? ამაზე ცოტათი მაინც უნდა იფიქრონ ქალაქის წარმომადგენლებმა, სანამ თეთრს ცხენებზე შესხდებოდნენ და მეცნიერების გაბათილებას დაიწყებდნენ. მაგრამ თავი დავანებოთ ყველა ამ საკითხს. მე მაინტერესებს ის გარემოება, თუ რა დაეკარგება ქალაქს, პოლიტეხნიკუმი რომ საბურთალოზე აშენდეს. თვით სამოსწავლო დაწესებულება მხოლოდ მოიგებს. და რა სარგებელი გაუჩნდება ქალაქს განათლებისაგან და სხვა. ნუ თუ ამას თვალს არიდებს ქალაქი. მართლაც, რომ „საუცხოოდ" სცოდნიათ ქალაქის კასის ინტერესები ქალაქის წარმომადგენლებს! თავი დავანებონ გულუწრფელო ლაპარაკს და ერთხელ მაინც თავიანთ სიცოცხლეში პატიოსნად შეუდგნენ საკითხის განხილვას.

ქალაქის საბჭოს ხმოსანი **პ. გოთუა** ამბობს, რომ მხოლოდ ქალაქის მიწების განაღდებიდან არ შეიძლება ისეთი თანხის აღება, რომელიც საკმაოა პოლიტეხნიკუმისათვის. ამ დროს კი საბურთალოს მიწების განაღდების ფული, 2 მილიონ ნახევრამდე, სრულიად საკმარისია ამისთვის. რადგანაც ქალაქი უარს ამბობს ამ მიწების განაღდებას, დავაკისროთ ეს საქმე საბურთალოელების კომისიას.

კრებამ საკითხი პრინციპიალურად მიიღო, მხოლოდ გუბერნიის მარშალს მიანდო ამ წინადადებით კომისიაში შევიდეს. შემდეგ კრებამ ერთხმად მოიწონა დეპუტატთა საკრებულოს მოქმედება, მადლობა გადაუხადა და დაავალა კვლავ განაგრძოს მუშაობა, საზოგადო კრების თანასწორი უფლებით.

შემდეგ კრებას მოხსენდა საკითხი სანადელო მიწების გამოსყიდვის შესახებ. 1912 წლის 26 დეკემბრის დროებით ვალდებულ გლეხთა განთავისუფლების კანონის ძალით, ტფილისის გუბერნიის მემამულენი, გლეხების ხელში გადასული მიწების ფასად მიიღებენ 5 მილიონ მანეთს; აქედან ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წილია 2,713,053 მანეთი. დეპუტატთა საკრებულომ სცნო, რომ სასურველია ამ დიდებულ რეფორმის აქტის განხორციელების აღნიშვნა და ამიტომ წინადადება შემოაქვს, დაწესდეს საერთო სასარგებლო თანხა. თუ თ.-აზნაურობა გადასდებს 15%, მაშინაც შესდგება დიდი თანხა 400,000 მანეთი.

წინამძღოლებსა და დეპუტატებს წინადადება შემაქვთ: 1) 15% გადადების საკითხი გადაწყდეს სამაზრო კრებებზე, და მონაწილეთ ხელი მოაწერონ ამ დადგენილებას, როგორც მათთვის სავალდებულოს; 2) იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც კრებას არ დაესწრებიან, წინადადება უნდა მიეცეს, რომ მათ წარმოადგინონ წერილობითი თანხმობა თავის ხვედრი ფული 15% გადადებისა; 3) წინამძღოლნი და დეპუტატები კისრულობენ ყოველ მაზრაში თავად-აზნაურის სიების შედგენას, რომელთაც გამოსასყიდი ფასი უნდა მიიღონ, და ამ სიებს შესაფერ დაწესებულებებში დააგზავნიან. ამ წინადადებების დასასაბუთებლად საადგილ მამულო კომისიის მდივანმა **ა. ყიფშიძემ** წაიკითხა ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ შესდგა საერთო სასარგებლო ფონდი 80.000 მანეთი. დ. ყიფიანის წინადადებით.

**თავ. კ. აფხაზი.** წაკითხულ ცნობებიდან სჩანს, თუ რა დიდი ამბით აღინიშნა ჩვენში გლეხთა განთავისუფლების დაწყება. ახლა 50 წლის შემდეგ სრულდება ეს დიდებული საქმე — გლეხების მონობისაგან სრული განთავისუფლება და ამიტომაც საჭიროა მისი ღირსეულად აღნიშვნა.

საგუბერნიო კრებამ **ერთხმად დაადგინა:** მიიღოს დეპუტატთა საკრებულოს მოხსენება და დაავალოს მაზრის წინამძღოლებს, რათა მათ თავ-თავიანთ მაზრებში აქ საკითხის გადასაწყვეტად საგანგებო კრებები მოიწვიონ. სიღნაღის მაზრის წინამძღოლმა თავ. **მ. ანდრონიკაშვილმა** წაიკითხა სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრების დადგენილება, რომელთაც ერთხმად დაუდგენიათ 15 პროც. გადადება. კრება ამ განცხადებას ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება.

კრება ღამის ორ საათზე დაიხურა.

## პატარა ფელეტონი

### მშვიდობიანი კაცის უწყინარი წერილები

ჩვენი ქვეყანა მაშინ დაიღუპა, როცა სოციალისტები გაუჩნდნენ და ყოველგვარ სისულელეს უქადაგებენ: ეს თანასწორობა, ეს თავისუფლება, ეს ძმობა! დაიბრიყვეს ხალხი, ტვინი გადაუბრუნეს და ცრუ ოცნებას მიაჩვიეს.

ეს სულ ის მაღალ-მაღალი აზრებია, წინად რომ მოგახსენეთ და ზეცისკენ მისწრაფებაა. უგუნურებს მეტი ვერა გაუგიათ-რა, ამის ნიჭი არა აქვთ და ახლა ზეცისკენ მიიწვევენ დაბეჩავებულ ხალხს. რა ენაღვლებათ, რას ჰკარგავენ, თუ ხალხი ზეცაზე ვერ ავა და კიდეც რომ ავიდეს, ვერც რას იპოვნის! ვერ გამიგია, რა დარჩომიათ ცაში ამ ჩიტირეკიებს? იქაურები არიან, ზეციდან ჩამოფრინდნენ? აქვთ ამის საბუთი?

მაგრამ ეგენი საბუთს სადმე ეძებენ? მაგათი საბუთი მაღალ-მაღალი, მყვირალა სიტყვების რახა-რუხია. რაკი მაღალ სიტყვებს იტყვიან, მეტი რაღა უნდათ—მორჩა და გათავდა. სიტყვა რახან მაღალია, მით მართალი და სწორი არ არის განა? მით უფრო საყვარელი და სასურველი არ არისო? ამათ რომ დავუჯეროთ, გამოდის, რომ მაღალი მთა, აი თუნდ მყინვარი, ან იალბუზი, უფრო კარგია ჩვენთვის, ვიდრე პურის მინდვრები და ვენახები. ნეტავ ერთი მაინც სცადონ, და ვნახავდით როგორ იცხოვრებდნენ მაღალ მთაზე, როგორ მალე გაუხმებოდათ შიმშილისაგან კუჭი, და სიცივისაგან კი ფეხებს გაჭიმავდნენ.

არა, ბატონებო, არ დაუჯეროთ ოცნების ადამიანთ. მათი რჩევა გაგვახმობს, გაგვაშრობს, გაგვაცამტვერებს, სისხლს გაგვიშრობს, სიცოცხლეს მოგვისპობს უდრო-უდროოდ. დედამიწაზე არც თავისუფლებაა, არც სამართალი და ძმობა და არც ყოფილა როდისმე. ყოველივე ეს ზღაპარია მშიერებისთვის გამოგონილი და, უკაცრავად სოციალისტებთან, თუ მათ აზრს ვერ მივიღებთ: გვეყოფა სიმშილი და ლატაკობა. ქართველი ერი მუდამ მშიერი და აწიოკებული იყო, სხვისი შესაჭმელი, სხვისი ლუკმა, სხვისგან დაბრიყვებული, ცემული, გვემული, ნამუს ახდილი, ჩაწიხლული და ასე იქნება, სანამ თავს არ გაანებებს ზეცისკენ მისწრაფებას, ოცნებით ცხოვრებას და უგუნურ თავისუფლების და თანასწორობის ძებნას.

ვინც იმას ეძებს, რაც არ არსებობს, რასაკვირველია, დაიღუპება და სხვისი სახრავი გახდება. იმას უნდა მივდიოთ, რაც არის, იმას უნდა შევეგუოთ, რაც გარს გვარტყია, იმას ვეთვისოთ, რაც მოუციათ ბატონებს, უფროსებს, ბრძანებლებს.

სინამდვილეს ჩავუკვირდეთ. მიწიერები, მიწიერები ვართ მთელი ჩვენის არსებით, მიწის ცხოველები და ზეცაზე არაა ჩვენი ბინა. მიწაზე კი, მეტი გასავალი იმასა აქვს, რაც უფრო მიწიერია, ცხოველურია, მდაბალია, რაც უფრო არა კეთილშობილურია. ჩვენი ცხოვრების საგანი ისაა, რომ ვიცხოვროთ. და რომ ვიცხოვროთ, ამისთვის მაძღარნი უნდა ვიყვნეთ, ჩასუქებულნი, ჩაწითლებულნი, ღიპ-გადმოგდებულნი, ჯანსაღნი და არა ფერ-მკრთალები, ჩამომხმარ-ჩაყვითლებულნი და ძვალად ქცეულნი. მართალია, ვიღამაც სთქვაო: მჭლე ადამიანი უფრო ჭკვიანი არისო. მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ჭკუა, მაინც და მაინც, დიდი ბედნიერება არ არის და ჭკვიანი კაცი ცხოვრებაში მეტ წილად უბედურია და იმას ნაცვლად, რომ უბრალოდ, მარტივად მოაწყოს თავისი მარტივი ცხოვრება, დაიწყებს ფილოსოფოსობას და მთლად აწეწავს ყველაფერს, თავსაც დაიღუპავს და არც სხვებს დააყრის ხეირს.

მე ვიცნობდი ერთ ვაჭარს, მისი ჭკუა ბავშის ჭკუას არ აღემატებოდა, მაგრამ ამ პატარა ჭკუით საუცხოოდ აწარმოებდა თავის საქმეებს, ასი ათასამდე ქონება ჰქონდა შეძენილი, და ეჭვს გარეშეა, ოდნავად რომ მეტი ჭკუა ჰქონოდა, [illegible] გაკოტრდებოდა. ჭკუა [illegible] გაბედულია, მოუსვენარი და ჭკვიანი კაცი აუცილებლად სადმე გადაიჩეხება. ამიტომ ნურავის გაუხარდება ჭკვიანობა და თუ სწადია, თავის ცხოვრება ბედნიერად მოაწყოს—ერიდოს ჭკუას, ერიდოს გონებას!..

მეც—გულახდილად მოგახსენებთ—ჩემს წერილებს ჭკვიანებისთვის არა ვწერ. კარგად ვიცი, რომ ჩემსას ვერაფერს გაიგებენ. ჩემი წერილები მდაბალი და დაბალი წერილებია, ჭკვიანების გონება კი სადღაც მაღლა, ზეცისკენ მიფრინავს. იფრინონ, იფრინონ რამდენიც უნდოდეთ და რაც იპოვნონ მაგ ფრენით თავისთვის შეინახონ, მე არ შევეცილები. ჰგონიათ, რომ ქვეყნის ბედნიერებას დაეძებენ, ნამდვილად კი უბედურებას განამზადებენ. იცოდნენ კი, რომ კისერს მოიტეხენ და ისევ ჩემთან მოვლენ როდისმე და ჩემთან ერთად ხმა მაღლა იტყვიან:

„საქართველოს ბედნიერება არც თავისუფლებაა, არც ძმობა და არც სამართლიანობა, არამედ ის, რომ ყოველს ქართველს ყოველ დღე ჰქონდეს მცვრიანი მწვადი და ერთი ბოთლი კარგი კახური. ამის მეტი ადამიანს არა უნდა რა. გაძღომა და ხვრინვა, სხვა ყოველივე ზღაპარია, მოჩმახული.

**ქლიპი.**

## ჩვენი საზოგადოება და ქართული მუსიკა

ამ მოკლე წერილში მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ქართულ მუსიკის შესახებ, რადგანაც, როგორც ყოველ დარგში ისე მუსიკის განვითარებას საქმეშიაც ქართველმა ერმა გასაოცარი ნაბიჯი გადასდგა წინ. მხოლოდ თუ სხვა დარგს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, საერთოდ ხელოვნებას, კერძოდ მუსიკას მხოლოდ ვიწრო წრე ან რამდენიმე კერძო პირი აქცევს ყურადღებას.

ოცდა ხუთი წელი არ გასულა მას აქეთ, რაც უცხოელმა მუსიკოსმა, ან უკვე განსვენებულმა რატილმა, პირველად დაიწყო ქართული მუსიკის საქმე. საზოგადოება მაშინვე დიდის ყურადღებით ისმენდა მის კონცერტებს, მაგრამ შესამჩნევ დახმარებას ვერ უწევდა. თვით რატილი კი ქართული მუსიკის მცოდნე პირი არ იყო და ხშირად პრიმიტიულ მეთოდს მიმართავდა ხოლმე მაგალითად ფინლანდიის კომპოზიტორის ბ. შტუნცის მარშს ქვეშ მოაწერა ქართულ სიტყვებს „აღსდეგ გმირთ გმირო" და ამით ეს მუსიკა გააქართულა. განსვენებულმა აღნიაშვილმა შეადგინა ნაციონალური ხორო, მხოლოდ ამ ხოროს მუშაობაც ვერ წავიდა შორს. ხალხში გაგონილ ჰანგებს მღეროდნენ ისინი ისევე დაუმუშავებლად, პრიმიტიულად, როგორც ხალხშია. მხოლოდ ოთხი-ხუთი წლის წინად დაიწყო ჩვენში ინტენსიური მუშაობა. მაგრამ ამ ცოტა ხანის განმავლობაში ისეთი დიდი სამუსიკო ლიტერატურის შექმნა, როგორსაც საზოგადოება მოითხოვდა, შეუძლებელი გახდა.

## სულიერად და-მაზინჯებულნი*)

გაიხსენეთ ბატონ-ყმობის დრო. განა წარმოიდგინება ისეთი ფუქსავატი, ზნეობით დაცემული ხანა, როგორიც იყო ბატონ-ყმობის ხანა. მიზეზი ასეთი ზნეობრივი და გონებრივი დაქვეითებისა იმაში მდგომარეობდა, რომ ცხოვრების პირობები არ აიძულებდა ჩვენს ბატონებს გაენვითარებინათ აქტიური ყურადღება, ისინი სრულიადაც არ უკვირდებოდნენ თავის ყოფა-ცხოვრებას, არ იცოდნენ თუ რა იყო შრომა, თუ რა ტანჯვით და წვალებით ნაშოვნი იყო ის ლუკმა-პური, რომელსაც მას ყმა აწვდიდა. მათ ხელში იყო ძალა, ნება და თავის მოქმედებაში ყმების შესახებ არავის პასუხს არ აძლევდნენ. ბატონს შეეძლო მოეკლა, გაეყიდა, დაესაჯა მონა და მისთვის ეს მოვლენა ხშირად დაუსჯელად ჩაივლიდა. ბატონები მოქმედებდნენ, მაგრამ მათი მოქმედება ფსიხოლოგიურად არ იყო დაკვირვებული, გონებრივი და, მაშასადამე, არც ზნეობრივი. ისეთი ფუფუნებითი აღზრდა, რომელიც დიდად გავრცელებული იყო ძველად ბატონთა წრეში და დღეს ეკონომიურად შეძლეულ ოჯახებში, დიდი ხანია დაგმეს გამოჩენილმა პედაგოგებმა, რომელთა რიცხვში საპატიო ადგილი უჭირავს საფრანგეთის მეცნიერს ჟან-ჟაკ-რუსოს. რუსო მოითხოვდა, რომ თვით ცხოვრების პირობებს აღეძრა ბავშის სულში აქტიური ყურადღება თვისი ყოფა-ქცევისადმი. შეიძლება მისი აზრი ამ შემთხვევაში ცოტა გადაჭარბებულიც იყვეს, მაგრამ ცხადია რომ გამოჩენილი ფილოსოფოსი ჰქადაგებს საღ პედაგოგიურ პრინციპს.

სწორედ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ინგლისში დღეს ვრცელდება განსაკუთრებული აღზრდის სისტემა. მე სახეში მაქვს გამოჩენილი სკოლები ცნობილი ინგლისელი პედაგოგებისა, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს დოქტორ რედდის აბბოსტოგოლმის და მისტერ ბადნის ბიდელის სკოლებს.

რესილ რედდის მიზანი იყო, მიეცა ბავშვებისათვის ნორმალური, როგორც სულიერი, ისე ფიზიკური აღზრდა. სკოლა აშენებულია ქალაქს გარედ; მას აკრავს გარშემო ვრცელი ადგილი, რომელიც სკოლის საკუთრებას შეადგენს. მოსწავლეთა შორის არ არის არავითარი ჯიბრობა, ისინი არ ეძებენ არც საჩუქარს და არც ქება-დიდებას. ხსენებაც არ არის იმისთანა საშვალებისა, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობდით და რომელიც, როგორც შევნიშნეთ, ადამიანს ზნეობრივად ამდაბლებს. იქ პატარაობიდანვე ულვიძებენ მოსწავლეს სიყვარულს ცოდნისადმი, ბავშობიდანვე უნერგავენ მათ სულსა და გულში იმ აზრს, რომ სულიერი განვითარება, პიროვნების გაფართოება პირველსა და მაღალ ვალდებულებას შეადგენს ყველა ადამიანისათვის. იქ მეცადინეობენ არა იმიტომ, რომ სასჯელის ეშინიათ, ან და საჩუქარს ძიებიან, არამედ იმიტომ, რომ გრძნობენ სიყვარულს, წმინდა უანგარო მისწრაფებას ყველა იმ ელემენტისადმი, რომელიც აამაღლებს ადამიანს სულიერად და რომელსაც ჩვენ ჩვეულებრივ ენაზე ვეძახით კეთილს, ჭეშმარიტებას და მშვენიერებას.

მოსწავლეები დაახლოვებულნი არიან მასწავლებლებთან და მათ ოჯახობასთან. მთელი მათი დამოკიდებულება აშენებულია არა შიშსა და სასჯელზე, არამედ სიყვარულსა და ღრმა პატივისცემაზე, არც სიცრუეს, არც სისასტიკეს და არც სხვა რომელიმე ნაკლს, რომელიც ჩვენი სკოლის უმთავრეს თვისებად გამხდარა, იქ ადგილი არ აქვს.

სესილ რედდის სკოლაში აგრეთვე პატარობიდან უნერგავენ მოსწავლეებს იმ აზრს, რომ შრომა არის პატიოსანი და აუცილებელი ვალდებულება ადამიანისა, შრომა არა მარტო გონებრივი, არამედ ფიზიკურიც. საუბედუროდ, ამ შემთხვევაშიც ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს ჩვენი სასწავლებლები. კიდეც რომ თავი დავანებოთ იმას, რომ სისტემატიური შრომა შეიქმს აქტიურ ყურადღებას, მას აქვს კიდევ პირდაპირი ზნეობრივი გავლენა ჩვენს სულიერ პიროვნებაზე. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ფუფუნებაში გამოზრდილი ბატონებისთვის ყოველი შრომა შეუძლებელი და საზიზღარი იყო იმდენად, რამდენადაც შრომა ფსიხიურისა და ფიზიკური ენერგიის ხარჯვას თხოულობს. ამიტომაც ყოველი შრომა, მეტადრე ფიზიკური, რადგანაც ინტელექტუალურის თითქმის ხსენებაც არ იყო, თავს აწვა დამონავებულსა და დაბეჩავებულ ხალხს.

ბრწყინვალე ჩაზოგადოების ვალდებულებას კი შეადგენდა განცხრომა, დროსტარება, ჩაცმა-დახურვა, ჭამა-სმა და ძილი.

ასეთი შეხედულებით შრომასა და მშრომელ ხალხზე დღესაც გამსჭვალულია ერთი დიდი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ის ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა იმ ზნეობრივად ფუჭი ანდერძისაგან რომელიც მათთვის ბატონ-ყმობას დაუტოვებია. მართალია, დღეს გონებრივ შრომას აღარ უყურებენ აგრე ზიზღით, მართალია, მას ახლა მეტი პატივისცემა და ფასი ადევს, მაგრამ, თუ ფსიხოლოგიურის მხრით შევხედავთ ამ საკითხს, თითქმის იგივე სურათი წარმოგვიდგება და დარწმუნდებით, რომ მიზეზი მისი ასეთი პატივისცემისა იგივე ზიზღია შრომისადმი. მაშ, რითი აიხსნება ის საოცარი მოვლენა, რომ ჩვენი მშობლები, ჩვენი შვილები შეძლების აიუხედავად ასეთის ენერგიით ეწაფვიან გიმნაზიებს და სხვა საშუალო სასწავლებლებს; რით აიხსნება, რომ სხვა და სხვა უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის სავსეა მოსწავლეებით? ნუ თუ მხოლოდ იმით, რომ მათ სურთ განათლება მიიღონ, იქცნენ ნამდვილ ადამიანებად, შეიმუშაონ სულიერი პიროვნება? არა და არა! ჩვენი მშობლებისათვის და შვილებისათვის განათლება, სულიერი პიროვნების შემუშავება, მათის აზრით, უკანასკნელი რამ არის, უმთავრესი მიზანი კი სულ სხვაა... სახელდობრ, კარგი ადგილი, ფულები, თბილი და ტკბილი ცხოვრება, საზოგადოების თვალში პატივსაცემი სოციალური მდგომარეობა და სხვ. თბილი ადგილი და განათლება, ეს ორი მცნება ისე დაკავშირებულია ჩვენი საზოგადოების გონებაში, რომ მათი ერთი მეორეს დაშორება ყოვლად შეუძლებელია. აბა, უთხარით რომელიმე მამას, რომ მისი შვილი ფრიად განათლებული კაცი გამოვა, მაგრამ მისი ხელობა წაღების კერვა იქნება-თქო და თქვენ დაინახავთ, თუ რანაირ სასოწარკვეთილებაში ჩავარდება ის, თუგინდ უმაღლესი ინტელიგენტიც იყოს. ან კი როგორ შეხედავს ჩვენი საზოგადოება და ჩვენი მშობლები იმ უმაღლეს კურსდამთავრებულს, რომელსაც თავის ხელობად, მაგალითად, მეშუშეობა აურჩევია? განა მას შეშლილის სახელით არ მონათლავენ? მიზეზი ასეთ მოვლენისა მხოლოდ ერთია—შრომისადმი ზიზღი და მისი დამცირება, რომელიც კიდევ გამჯდარია ჩვენს ძვალსა დ რბილში. სწავლას თუ პატივსა სცემენ, არა იმიტომ, რომ მის ამამაღლებელ ძალას გრძნობენ, არამედ იმიტომ, რომ მას დღეს ვაჭრული, მდაბიო უტილიტარული თვალით უცქერიან. უმაღლეს კურს-დამთავრებულებს რომ თავი დავანებოთ, რამდენია დღეს ისეთი პირი, რომელსაც ორი ანბანი უსწავლია, მაგალითად, სამოქალაქო სკოლაში, და შრომას კი ერიდება! იგინი ქალაქშივე რჩებიან რამოდენიმე წლობით უჯამაგიროდ მსახურებენ, ხშირად უფროსის წინაშე ლაქიის ვალდებულებასაც ასრულებენ, რომ შემდეგ მცირედი „ადგილი" მიიღონ. გაიხედეთ გარშემო, შეიხედეთ სხვა და სხვა დაწესებულებაში და ასეთების რიცხვსაც ვერ დაითვლით. ურჩიეთ მათ, მაგალითად, სოფელში ცაბრუნება, მიწის დამუშავება ან რომელიმე სხვა ხელობა და თქვენ ნახავთ, თუ როგორის რიხით დაგიწყებენ ლაპარაკს თავის ნამდვილი მოწოდების შესახებ! ასეთი შრომა, მათი შეხედულობით, სახელისა და პიროვნების შეურაცხმყოფელია. ფიზიკური შრომა, ხელობა მათ სამარცხვინოდ მიაჩნიათ. და თან როგორი ზიზღით, მიუწდომელი სიმაღლიდან დასცქერის იგი მშრომელ ხალხს, მუშას! რაც უნდა მაღლა იდგეს ჩვენი შრომის შვილი ზნეობრივად ან გონებრივად, სულ ერთია, სრული პატივისცემის, ადამიანური მოპყრობის ღირსი ვერაოდეს ვერ გახდება. ადამიანის პირად ღირსებას ნაკლებად ვაფასებთ და ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ მის ჯიბეს. თათქარიძეების დრო ჯერ კიდევ არ გადასულა!

— „როგორ, როგორ გაბედეს ჩემი იქ მიწვევა?!" ბრაზმორეული ბუტბუტებდა ერთი ჩემი ნაცნობი, საშუალო სასწავლებელ დასრულებული, მასწავლ ბელი ქალი: ან როგორ შემეძლო არ მიმეტოვებია ის მხიარულება, რომელშიაც ჩვენი ყოფილი მზარეული ღებულობდა მონაწილეობას". ეს ფაქტი მიტომ, მოვიხსენე რომ იგი ტიპიური მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი

*) იხ. „სახ. გაზ." № 929.

მით უმეტეს, რომ ჩვენებურ მოღვაწეთ საზოგადოების გულგრილობასთან უხდებოდათ ბრძოლა. მუსიკალურ განათლებისათვის თანხის შექმნას ახლაც არ ვაქცევთ ყურადღებას და მაშინ ხომ ამის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებამ და ხალხმაც გამოიღვიძა, ჩვენი მუსიკის საქმეს ახლაც ორი-სამი კაცი მიუძღვის; დამხმარე კი არსად და არავინაა. ჩვენი მემუსიკენი ძალა-უნებურად არსებობისათვის ბრძოლაში არიან ჩართული და დღიური ლუკმაპურის შოვნას ბევრს დროს ანდომებენ, თავის პირდაპირ დანიშნულებას მუსიკას კი სხვათა შორის უნდა ემსახურონ. ქართველებს ბევრი ახალგაზრდა ჰყავს გასაზდელი, სტიპენდიების რიცხვი ბევრია, მაგრამ, სწავლის მსურველნი ასჯერ და ათასჯერ უფრო მეტი, მუსიკალურ განათლებისათვის კი ჩვენ საზოგადოებას ერთი სტიპენდიაც არ მოეპოვება.

ამ ცოტა ხანში ქართულ თეატრში, ზ. არაყიშვილის კონცერტზე იმღერა ახალგაზრდა მომღერალმა **ბ. ღვინიაშვილმა** და, როგორც ამას წინად აღვნიშნეთ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. თურმე, ნუ იტყვით, ეს ახალგაზრდა დრამატიულ კურსებზე სწავლობდა გამოჩენილი რეჟისორის მეიერხოლდის ხელმძღვანელობით, რომელიც მასზე დიდ იმედს ამყარებდა. შემთხვევით მისი სიმღერა, ერთს რუსის მომღერალს მოუსმენია და უთქვამს, ნუ თუ შეიძლება ასეთი ხმა ჰქონდეს კაცსა და სიმღერას არ სწავლობდეს. ამისა და სხვების რჩევით ბ-ნი ღვინიაშვილი კონსერვატორიაში გადასულა და აგერ ორი წელიწადია თავისი შრომითა და ენერგიის წყალობით იზრდება ახლა კი საჭიროა მისი იტალიაში გაგზავნა, მაგრამ ხელმოკლეობის გამო არამც თუ იტალიაში, იგი იძულებულია კონსერვატორიასაც თავი დაანებოს და ნაადრევად სცენაზე შევიდეს. სხვათა შორის, ჩვენ შევეკითხეთ ზ. არაყიშვილსა და ყარაშვილს, და მათ ორივემ ერთხმად აღიარეს, რომ ბ-ნი ღვინიაშვილის ხმა დიდი ყურადღების ღირსიაო. მას იშვიათი ტემბრი და სიმძლავრე აქვს, კარგი ნიჭისა და სმენის პატრონია და მომავალში ქართველები მისგან ბევრს უნდა მოელოდნენო, გარდა ამისა ჩვენ ხელთა გვაქვს რუსის კომპოზიტორის ბ. **პოდგორეცკი**სა და ლოტბარის **ნ. ძიკლაშევსკის** წერილები, სადაც ისინი აღნიშნავენ ბ. **ღვინიაშვილის** საუცხოვო ხმას, ტემბრს, სილამაზეს, და ამბობენ რომ მას დიდებული მომავალი აქვს, თუ შესაფერი სწავლა მიიღო.

მეორე სასიამოვნო მოვლენა ისაა, რომ ჩვენმა კომპოზიტორმა **ნ. სულხანიშვილმა** გადასწყვიტა მოსკოვს წასვლა უმაღლეს მუსიკალურ სწავლა-განათლების მისაღებად. მასზე არას ვიტყვით, რადგან თავისი კონცერტებით, მან ნათლად დაანახვა ქართველ საზოგადოებას, თუ როგორი შემოქმედებითი ნიჭის პატრონია. მის მიერ შეგროვილი და დამუშავებული ხალხური მელოდიები მუდამ აღტაცებას იწვევენ მსმენელთა შორის, რადგან მათში ხალხური კილო და თვისებანი დაცემულია.

ორივემ ბ.ბ. ღვინიაშვილმა და სულხანიშვილმა საზოგადოებას ზოგიერთი წევრის რჩევით, დეპუტატთა საკრებულოს მიმართეს თხოვნით, რომ დახმარება აღმოუჩინონ, ვიმედოვნებთ, რომ მათი თხოვნა უყურადღებოდ არ დარჩება, არამც თუ მარტო დეპუტატთა საკრებულოს მხრით, არამედ საერთოდ ქართველ საზოგადოების მხრითაც.

ჩვენი მუსიკის ბრწყინვალე მომავალი ჯერ კიდევ წინ არის; თუ სხვა რამ არ შეგვრჩენია ქართველებს, მუსიკის კილო, საერთოდ ქართული მუსიკა საკმაოდ არის დაცული. ბრწყინვალე მომავალიც ჩვენი კულტურისა სწორედ ამ დარგს უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, ჩვენმა მუსიკამ ის საქმე გააკეთოს, რაც ხელოვნების სხვა დარგმა ვერ შესძლოს. ამისათვის კი საჭიროა, როგორც შემოქმედებით ნიჭით აღჭურვილი კომპოზიტორები, ისე მათ მიერ შექმნილის აღმასრულებელნიც.

**კორდელი.**

# ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებაზე

ბუნებისმეტყველთა და ექიმთა განვლილ კრებაზე ყველაზე ხშირად პედაგოგიურ სექციის სხდომებს ვესწრებოდი. როგორ უნდა აღიზარდოს გონიერი და კეთილი ადამიანი?—აი უდიდესი თანამედროვე საკითხი რადგან დიდი უმრავლობა შეკრებილთა—ექიმები და ბუნებისმეტყველები იყვნენ, თავის-თავად ცხადია, რომ უდიდესი ყურადღება ბუნების მეცნიერებას და აღზრდა-განათლების საქმეში იმას მნიშვნელობას მიაქციეს. მრავალი მოხსენება იყო წაკითხული იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნას შეტანილი სკოლაში დღეს ექიდან განდევნილი ბუნების მეცნიერება და რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ამ დარგს ადამიანის აღზრდა-განათლებისათვის. ამავე დროს ამ სექციამ სასურველად არ დამაკმაყოფილა. ამის მიზეზი—ბრძოლის სული იყო. ბუნებისმეტყველები იბრძვიან, რათა თავის საყვარელ საგანს სკოლაში გზა გაუკაფონ, ერთ ბანაკად შეერთდნენ, რათა იერიში უფრო მხნე და ძლიერი იყოს, და ვერ ამჩნევენ, რომ როგორც ხალხთა შორის ბრძოლა მათ შორის კავშირის მომსპობია, ასე მეცნიერების სხვა და სხვა დარგის შეტაკება, მათ შორის ღრმა კავშირის აღმომფხვრელია. ისეთი აზრი გამოვიტანე, თითქო ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ორგანო-ნაწილები პირველობისათვის იბრძვიან და იმის შეგნება არ აქვთ, რომ მხოლოდ მათი მწყობრი შეთანხმება, გონივრული, ჰარმონიული ერთობა ჰქმნის სრულს ვრცლად—მოაზრე ადამიანს.

მაგრამ მაინც ბევრი რამ საყურადღებო გამოითქვა კრებებზე, რასაც უეჭველად ყურადღება უნდა მიექცეს.

ჩვენმა თანამემამულემ, ბ. ქავთარაძემ შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა სკოლაში ბუნებისმეტყველების სწავლების შესახებ იგი, ჩვენდა სასიამოვნოდ, იმ გონიერ უმცირესობას ეკუთვნის, რომელიც ბუნებისმეტყველების ცოდნას მხოლოდ ერთ დარგად სთვლის; ამ დარგს ცოდნის სხვა დარგებთან ღრმა და მწყობარი შეთანხმება სჭირდება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თანამედროვე სკოლაში შეტანილი ნაბეჭდი სახელმძღვანელოები დღითი-დღე უზომოდ იზრდება სივრცე და სიდიდე ემატება და არავინ კითხულობს, შეუძლიან მოწაფეს ამ აუარებელი მასალის შეთვისება, თუ არა. დღეს სკოლა ასწავლის მოწაფეს, ცდილობს, მეტი ცოდნა შესძინოს და ამავე დროს ჰფიქრობს იმაზე, რომ ეს მძიმე აუტანელი მასალა ცნებას უხშობს მოწაფეს, თავისუფალი აზროვნების უნარს უსპობს და სჩაგრავს. დიდად საჭიროა დღეს, მოსწრებულად იოხუნჯა ავტორმა, ისეთი მეთოდის აღმოჩენა, რომელიც მოწაფეს ნასწავლის დავიწყებას გაუადვილებს, მის გონებას ზედ მდებარე მძიმე ლოდს მოაშორებსო. გაკვეთილი დღეს კლასში არ ირკვევა, არ წარმოადგენს იმ მასალას, რომელზედაც მოწაფე და მასწავლებლები შეერთებული ძალ-ღონით მუშაობენ, რაიცა მოწაფეს თავისუფალი გამორკვევის, საკუთარი აზროვნების უნარს უღვიძებს. გაკვეთილის დროს მოწაფეს მზა-მზარეულ ცოდნას, უკვე შემუშავებულსა და გამორკვეულ მეცნიერულ ჭეშმარიტებას ასწავლიან, რომლის შეთვისებას სასტიკად ავალებენ. ამის შედეგი—გონების დახშობაა. ვინც ამგვარ სკოლას გაივლის, დამოუკიდებელი მუშაობის, თვით-მოქმედების უნარი ეკარგება. იმას მხოლოდ ძალუძს ზერელე მსჯელობა, რადგან ცოდნის ზედა-პირზე ნავარდობასაა ჩვეული; იმ გამჭრიახობის, კრიტიკული განჭვრეტის უნარი არა აქვს, რომელიც ცოდნის ღრმა შინაარსსა და მნიშვნელობას გაუმხელს ადამიანს. ამგვარი ზერელე ცოდნა — ფუქსავატი თავმ-მომწონეობის წყაროა, ზნეობა გამრყვნელია. ამგვარ ცოდნას ადამიანის სულში არ უდგას ფესვები, იგი უფრო წააგავს ჭრელ-ჭრელი ნაჭრებისაგან შეკერილ წამოსასხამს, რომლითაც ფუქსავატი ადამიანი თავ-მომწონედ კოხტაობს.

მეცნიერება თავის-თავად მიზნად გადაიქცა სკოლაშიო,—სამართლიანად შენიშნა ავტორმა,—სკოლის გამგებს არ აქვთ ის შეგნება, რომ მეცნიერება კი არ არის აღზრდა-განათლების მიზანი, არამედ მოწაფის, ადამიანის სული, ამ სულის შინაგანი ძალების განვითარება. ცდილობენ სული მეცნიერების კალაპოტში მოათავსონ, ძალად მოაქციონ შიგა და არ ჰფიქრობენ იმაზე, რომ მეცნიერება სულის შინაგან ვითარებას, იმის შეძლებას უნდა შეათანხმონ, ჰარმონიულად დაუკავშირონ.

ამგვარი სამწუხარო მდგომარეობის შედეგი ის არის, რომ იმ სკოლებში, სადაც ბუნებისმეტყველებაა შეტანილი, საერთო რეჟიმი ცოდნის ამ თავისდათავად საღ დარგს დაეტყო: იგი სნეული სულითაა გაჟღენთილი, დამჭკნარი ყვავილის ელფერი აქვს. მასწავლებლებს ავალებენ წინდაწინ შედგენილი პროგრამის ძალით მოწაფეთათვის „ამდენი და ამდენი“ ცოდნის გადაცემას და ეს პროგრამები მთელი სამოსწავლო წლის კურსს კი არ შეეხება, წლიწადი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი და დავალებულია სამი თვის განმავლობაში უეჭველად წინდაწინვე გამორკვეული პროგრამის მიხედვით „ამდენი და ამდენი“ ცოდნის გადაცემა მოწაფეთათვის.

დღევანდელი სკოლა,—განაგრძო ავტორმა,—სცდილობს გონება, აზროვნების უნარი განუვითაროს მოწაფეს ამ ყალბი და უშინაარსო მეთოდით. რასაკვირველია—ვერ აღწევს საწადელს და ამავე დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევს მოწაფის ნების, ნებისყოფის განვითარებას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პატივცემულ ავტორს. ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც თავისუფალი კვლევა-ძიება, დამოუკიდებელი აზროვნება განდევნილია, სადაც ცოცხალი ადამიანი მკვდარი პროგრამის კალაპოტში უნდა მოექცეს,—იქ ნებისყოფის განვითარება შეუძლებელია. თვით სიტყვა „ნება“ შეიცავს სურვილს, თავისუფალ მისწრაფების კვლევა-ძიებისას. სადაც ჩემ სურვილს, ჩემს წადილს, თავისუფალი ასპარეზი არა აქვს გახსნილი, როგორ შეიძლება ამ სურვილის, ამ წადილის გამტკიცება განვითარება? რაც უნდა ცოცხლად მჩქეფარე იყოს ბავშის, ამ პაწია ადამიანის, სულში ნებისყოფის, თავისუფალი წადილის ანკარა წყარო, თუ მას გზა არ გაუხსენით, კალაპოტი არ მიეცით, იგი ბოლოს და ბოლოს დაგუბდება, აშმორებულ გუბედ გადაიქცევა. თავისუფალი, ცოცხალი რკვევა-ბაასი მოწაფესა და მასწავლებელს შორის, პროგრამის მკვდარი განკარგულების გარეშე, ბავშს მუდამ მღვიძარე ცნობის მოყვარეობას ცოცხალ მასალას აძლევს, რითაც მას უფრო განაცხოველებს სიმტკიცეს და ზრდა-განვითარების უნარს ანიჭებს. მკვდარი მასალის შეთვისება—ნებისყოფის სამუდამოდ მკვლელია.

დაუბრუნდეთ ისევ ბ. ქავთარაძის საინტერესო მოხსენებას. ბუნების მეცნიერება,—განაგრძო მან,—წმინდა ზნეობის წყაროა. ბავში, რომელიც უკვირდება იმას, თუ როგორ ცხოვრობს მის გარშემო გადაშლილი ქვეყანა, მცენარე, პირუტყვი და ადამიანი თანდათან ეჩვევა ობიექტიურ მსჯელობას ზნეობის შესახებ; ბუნებასთან კავშირი, მსოფლიოსთან ურთიერთობა—უღვიძებს ადამიანს წმინდა ესთეტიურ გრძნობას, ფაქიზი, უბწიკვლო მშვენიერების შეგნებას. ეს მშვენიერება ყველგანაა გაფანტული ამ მსოფლიოში; ბავშს მხოლოდ წმინდა, ფაქიზი გემოვნების უნარი უნდა გაუღვიძოთ, და ამ მშვენიერებას იგი ბუნების კალთაში ყველგან აღმოაჩენს.

(დასასრული იქნება)

**ი. ნაკაშიძე.**

# შრომის სახლში

(მოწაფეთა ხელსაქმის პირველი გამოფენა ელ. თარხან-მოურავის ქალის ჰრა-კერვია სკოლაში ქ. გორში.)

(დასასრული *)

გამოფენა, როგორაც ვსთქვი, მდიდარია მოწაფეთა ნამუშევარით და ხელსაქმეც მეტად ლამაზად, სუფთად, სიყვარულითაა შესრულებული. სკოლას ეტყობა მზრუნველი ხელი, ეტყობა მოწაფეთა ცდა, მუყაითობა... სიამოვნებით შესცქერით ამ ცქრიალა გოგონებს, რომელთაც მეტად ზრდილობიანად უჭირავთ თავი და მარჯვედ გიშლიან თვალწინ თვის ნამუშევარს, მოწიწებით უსმენთ მასწავლებელ ქალებს დინჯ ახსნა-განმარტებას, შესცქერით ქ-ნ ელენეს, სკოლის გამგეს, სულის ჩამდგმელს და მაცოცხლებელს, როგორც მფარველი ანგელოზივით დასტრიალებს თვის პირმშო შვილს თავს, თვის მოწაფეთ, მათ ხელთქმნილს და გრძნობით სიამეს, გრძნობთ შვებას განუსაზღვრელს და დიდხანს, დიდხანს გსურთ ყოფნა ამ წმინდა, შრომის სახლში..

ხალხი გამოფენაზე ბლომად დაიარება. გამოფენილი ნამუშევარი სწრაფად იყიდება. ხალხი უფრო მეტი იყო მოსალოდნელი, მაგრამ ვიღაც ბოროტს ხმა გაევრცელებინა გამოფენაზე შესვლა ფასით არისო, რამაც დაბალი ხალხი, ცოტა არ იყოს შეაშინა.

მოწაფეებმა სკოლა წელს პირველად დაასრულეს. გამოცდა ამ თვის შუა რიცხვებში მოხდა. გამოცდას დაესწრნენ სხვათა შორის ტფილისის სახელოსნო სამმართველოს მოურავი და ექსპერტები: ნ. თედეევი, ზ. დრაჩუკი და ლ. ბილევიჩი. ყველა მოწაფე ღირსად სცნეს მკერვალი ქალის მოწმობისა.

სკოლა დაასრულა 42 ქალმა.

ამათგან ქართველია 35. სომეხი 5. ოსი 1. რუსი 1.

ადგილობრივი მცხოვრებია 22. სოფლელი 20.

წოდების მიხედვით ასე იყოფიან: თავადი 1. აზნაური 12. გლეხი 18. მოქალაქე 8. სასულ. წოდების 3.

**საგანათლებლო ცენზი:**

ამ სკოლაში შესვლამდე გიმნაზია დაუსრულებია 1. გიმნაზიის ოთხი კლასი 4. გიმნაზიის სამი კლასი 1. პირველი კლასი 3. გიმნაზიის დაბალ განყოფილებიდანაა 3. სამრევლო სკოლა დაუსრულებია 11. სამრევლო სკოლაში უსწავლია, მაგრამ არ დაუსრულებია 10. არსად უსწავლია 9.

როგორც აქედანაც დაინახავთ, ამ სკოლაში შედიან ისეთნი, რომელნიც სილარიბის თუ სხვა რამ მიზეზის გამო იძულებულნი ხდებიან ადრე მიატოვონ სასწავლებელი და აი სწორედ ამიტომაა ეს სკოლა ძვირფასია.

ყველა მოწაფემ შესაფერი მოწმობა მიიღო და უფლება აქვს ხელსაქმის მასწავლებლობისა სოფლის სკოლებში, ხოლო საგანმ. ცენზიანებს საქალაქო სასწავლებლებშიაც.

სკოლა ინახება სწავლის ფულიდან შემოსული თანხით და კერძო შემოწირულებით. შარშან ტფილ. თავ.-აზნაურობისაგან მიიღო 300 მან. რომლითაც განთავისუფლდა სწავლის ფულიდან რამდენიმე ღარიბი მოწაფე. ამას გარდა სკოლის სასარგებლოდ გამართულმა საღამომ მისცა 100 მან-მდე, ჩემის აზრით თავადაზნაურობამ თავის მომავალ კრებაზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ სკოლას. იმ დროს, როდესაც გორის სავაჟო გიმნაზიას დახმარება ეძლევა, ვგონებ 2000 მანეთამდე, უკანასკნელი (ჭრა-კერვის სკოლა) დახმარებას იღებს მხოლოდ 300 მან. ქუჩაქუჩა უხდებათ დახმარების თხოვნა... ჭრა-კერვის სკოლაში კი დახმარების პირველ წელსვე რამდენიმე ღარიბ მოწაფეს შეუმსუბუქდა ტვირთი... გაიხსენეთ ისიც, რა მნიშვნელობა აქვს ამ სკოლას ჩვენი დაავადებული ცხოვრებისათვის....

ქართულ წიგნები საკუთარი ბიბლიოთეკა სკოლის გამგეს უსახსრობისა გამო ვერ შეუძენია, მხოლოდ დროებითი გადმოუტანია ს. ახალქალაქიდან წიგნები, რითაც წლის განმავლობაში ბევრს მოწაფეს უსარგებლნია. ქ-ნ ელენეს ორჯერ მიუმართავს წ.-კ. საზოგადოებისთვის —დახმარებოდა წიგნებით, მაგრამ ორჯერვე პასუხად მიუღია—მიმართეთ ადგილობრივ განყოფილებასაო. და ეს იმ დროს, როცა წ.-კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ კარგად იცის, რომ წ.-კ. ს. გორის განყოფილებამ პირველი ნაბიჯიდანვე უმოქმედობით აღნიშნა თვისი არსებობა და დღესაც ყურთბალიშზე განისვენებს...

ამ თვის 26-ს საქალაქო ბაღში გაიმართება სეირნობა ამ სკოლის სასარგებლოდ. მოვუწოდებთ კვლავ გორის საზოგადოებას, გულთბილად მოეკიდოს ამ საქმეს, მოვიდნენ სეირნობაზე და მით თავისი წვლილიც დასდონ ამ ფრიად სასარგებლო სკოლის კეთილდღეობის საკურთხეველზე...

**სანგანიძე.**

*) იხ. „სახალხ. გაზ.“ № 928.

# მუშათა პრესა გერმანიაში

მუშათა ჟურნალ-გაზეთები ჯერ გარეგნულადვე განსხვავდება ბურჟუაზიულ პრესისაგან: ყველაზე უწინარეს მუშების ორგანოებში არ მოიპოვება ვრცელი საბირჟო განყოფილება, რომელსაც ყოველ დღე შეხვდებით ლიბერალურ, კონსერვატორულ და კათოლიკურ გაზეთებში. ეს პრინციპიალურ მოსაზრებით არაა გამოწვეული. სოციალისტურ გაზეთების მკითხველებს ბირჟისა და სადივიდენდო ქაღალდების არ სცხელათ...

მაგრამ აქ მარტო ფორმას არა აქვს მნიშვნელობა. რომელიმე გავრცელებულის გაზეთის საბირჟო განყოფილების ან ეკონომიური მიმოხილვის რამდენსამე სიტყვას შეუძლია ასწიოს ან დასწიოს ქაღალდების კურსი (მაზანდა) და გადასწყვიტოს მილიონიანი ფირმის ბედი. ამიტომ ხშირად ხდება, რომ მწარმოებლები ათასობით ხარჯავენ გაზეთის რამდენიმე „კეთილი“ სიტყვისათვის. გერმანიაში დარწმუნებულნი არიან, რომ ბურჟუაზიულ გაზეთებს შორის მხოლოდ ერთი „ფრანკფურტის გაზეთია“ დამოუკიდებელი და მოუსყიდავი.

შემდეგ აიღეთ განცხადებანი. განცხადება აუცილებელი ნაწილია ყოველივე გაზეთის და ვერც ერთი გაზეთი, თუნდ ასი ათასობით ჰყავდეს ხელის მომწერი, უგანცხადებოდ ვერ აცდებოდა ზარალს. ზოგი გაზეთი მილიონს იღებს განცხადებებში, განცხადების ძებნა ევროპაში ერთგვარ ხელობად გადაიქცა და მოითხოვს თავისებურს ნიჭსა და უნარს. სოციალისტური და ბურჟუაზული ორგანოები ამითაც განსხვავდებიან. სოციალისტური გამოცემანი ფრთხილად ეპყრობიან განცხადებებს და ზნეობრივ სიწმინდეს არ ანაცვალებენ მოგებას. სულ სხვაა ბურჟუაზულ პრესაში. რის განცხადებას არ შეხვდებით აქ! აქ შტრეიკბრეხერებსაც კი ეძებენ, გარყვნილ ადამიანებსაც იწვევენ, მაჭანკლობასაც კი ეწევიან.

ამ ორი წლის წინად ბერლინში გაასამართლეს ანტისემიტურ გაზეთ „სიმართლის“ რედაქტორი. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა საყურადღებო მოვლენა: საკმარისია სავაჭრო ფირმამ განცხადებანი მისცეს გაზეთს და გაზეთი არასდროს არ გამოაქვეყნებს სამარცხვინო ცნობებს ფირმის შესახებ.

გერმანიაში დღეს გამოდის 90 ყოველ-დღიური სოციალისტური გაზეთი. 1911 წელს სოციალისტურ გამოცემებს ჰყავდა 1 ნახ. მილ. ხელის მომწერი, ეხლა ალბად 1,700 ათასი ეყოლება. ამ რიცხვით გერმანიის სოციალისტურმა პრესამ გადააჭარბა სხვა ქვეყნებს. მაგრამ არ უნდა გავაზვიადოთ ციფრების მნიშვნელობა. გერმანიის სოციალისტურ პარტიაში ითვლება 1.100.000 წევრი, რომლებიც ყველანი ჰკითხულობენ პარტიულ გაზეთებს. პარტიის გარეშე კი სოციალისტურ ორგანოებს ჰკითხულობენ 500—600 ათასს ცალს. პროფესიონალ კავშირებში ითვლება 2 ნახ. მილ. წევრი, მაშასადამე მთელი მესამედი წევრებისა საზრდოობს ბურჟუაზიულ პრესით. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შარშანდელ არჩევნების დროს სოციალისტურმა პარტიამ მიიღო $4\frac{1}{4}$ მილ. ხმა, დავინახავთ, რომ $\frac{2}{3}$ სოციალისტის ამომრჩევლებისა თავის გაზეთს არ ჰკითხულობს. ამ გარემოებას დიდს ყურადღებას აქცევს პარტია და ბოლოს დროს დიდის სიმხნით ცდილობს თავის გაზეთების გავრცელებას და მუშების ქუჩურ პრესის გავლენისაგან განთავისუფლებას.

რასაკვირველია, სოციალისტური გაზეთები არ ჰბეჭდავენ მყვირალა მოთხრობებს, სასახლის ამბებს, პარადების აწერილობას, სამაგიეროდ აწვდიან მკითხველებს ყოველგვარს გონებრივს საზრდოს. ყველას აქვს სალიტერატურო-სამხატვრო განყოფილება, დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების-მეტყველებას და ახალს გამოგონებებს; ყოველ დღე „პროფესიონალი მოძრაობა“ და კვირაში ერთხელ ეკონომიური მიმოხილვა.

პარტიის ცენტრალური ორგანოა „ფორვერცი“, რომელსაც 180 ათასი ხელის მომწერი ჰყავს და აძლევს პარტიის კასას 300 ათასს მარკას წმინდა მოგებას, არის აგრეთვე სამეცნიერო ჟურნალი „ახალი დროება“ (10.500 ხელის მომ.) ქალთა პროლეტარულ მოძრაობის გაზეთი „თანასწორობა“ (120 ათასი ხელის მომწერ.) და იუმორისტული ჟურნალი (400 ათასი ცალი.)

სოციალისტური გაზეთები გამოდიან ორშაბათობითაც, რომ არ ჩამორჩნენ ბურჟუაზიულ ორგანოებს.

# მუშათა ცხოვრება

✦ პეტერბურგში გაიფიცნენ პეტროვსკის ნავთსადგურის გემების დამტვირთველი მუშები. სულ გაიფიცა 1000 კაცი. გემების პატრონები ძალიან ცუდ მდგომარეობაში არიან: ნახშირით დატვირთული გემები რამდენიმე დღეა გადაუტვირთელი დგანან.

✦ 23 ივნისს გრაფ პანინის მეუღლის სახალხო სახლში უნდა გამართულიყო პეტერბურგის ნოქართა კრება. განსახილველი ჰქონდათ რამდენიმე საკითხი ნოქართა ცხოვრებიდან. 22 ივნისს, კრების გამმართველს იგინი ქალაქის უფროსმა შეატყობინა, კრების გამართვის ნებას ვერ მოგცემთო.

✦ ლოძში გაიფიცნენ იაკობ კუტენზერგის ბამბის ქარხნების მუშები 1000 კაცზე მეტი გაიფიცნენ აგრეთვე გრომანის სააქციონერო საზოგადოებისა და ბრენისის ქარხნების მუშები 1,200 კაცამდე; იონის ლითონის ქარხნისა და გეიგეტის მანქანათა ქარხნის მუშებიც გაიფიც-

---

ინტელიგენტი ელვის სისწრაფით მივარდება და უცაბედად გავარდნილ ცხვირსახოცს მიაწოდებს მანდილოსანს. მაგრამ იგივე „ჯენტლმენი“ ოდნავაც არ გაინძრევა, რომ დაეხმაროს მოსამსახურე ქალს, რომელსაც ორივე ხელში სავსე თეფშები უჭირავს და წვალობს, კარები ვერ გაუღია.

ასეთსავე ატმოსფერაში ტრიალობს დღეს თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზრდობა. მას ბავშობიდანვე ინსტიქტურად უნერგავენ სულში იმ რწმენას, რომ მშრომელი ხალხი არ არის ღირსი არც პატივისცემისა, არც ადამიანური მოპყრობისა და არც შებრალებისა.

სწორედ ამ მხრით არის საინტერესო აბბასტოგოლმის სკოლაც. თუ რამდენად უკანასკნელი ანვითარებს მოსწავლეებში პატივისცემას შრომისადმი, თუ როგორ გზაზე აყენებს ბავშვების ყურადღებას და როგორ ებრძვის სხვა და სხვა ცრუმორწმუნეობას ამას გვიმტკიცებს ის ფაქტიც, რომ მოსწავლეები ვალდებული არიან თვითონვე ემსახურონ თავის თავს, მაგალითად, მიალაგონ დილას თვისი საწოლი, დაასუფთაონ ოთახი და სხვა. მაგალითს, რასაკვირველია, აძლევს თვით წინამძღოლი ამ სკოლისა, რომელიც ამ შემთხვევაში ისე იქცევა, როგორც მისი მოსწავლეები. გარდა ამისა სასწავლებელს აქვს თავისი ბაღები, რომლებშიაც მხოლოდ მოსწავლეები მუშაობენ, თესენ სხვა და სხვა ყვავილს, რგავენ და მყნიან სხვა და სხვა ხეხილს, ზრდიან და უვლიან შინაურ ფრინველებს დ პირუტყვებს, სასწავლებლის სახელოსნოებში ამზადებენ სხვა და სხვა საჭირო ნივთებს; არის შიგ შენობებიც, რომელიც თვით მოსწავლეებისაგან არის გაკეთებული. სკოლის ნამუშევარი იყიდება და ფულები ხმარდება თვით სკოლას. მოსწავლეები, ერთი სიტყვით, ცხოვრებასთან დაკავშირებულია არა მარტო იდეიურად, არამედ ეკონომიურადაც. ასეთი სისტემა, რასაკვირველია, აღვიძებს მოსწავლის გულში პატივისცემას შრომისადმი და იმ ადამიანებისადმი, რომელნიც ასეთ შრომას ეწევიან. ასეთი სისტემა ანვითარებს მათს აქტიურ ყურადღებას, მუდმივი ვარჯიშობის გამო ჰქმნის იმ მნიშვნელოვან მხარეს ადამიანის სულისას და მით ამზადებს ზნეობრივად საღს, საზოგადოების შრომის მოყვარე წევრებს. ასეთია ის ახალი ტიპის სკოლები, რომლებიც დღეს ვრცელდება დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებში და რომლებსაც დღეს მოკლებულია ჩვენი კულტურულად დავარდნილი საზოგადოება.

მართალია, ასეთი მოვლენა არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგანაც ჩვენი აღმზრდელები მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ზნეობრივი მხრის განვითარებას, მაგრამ, საუბედუროდ, არა ნაკლებ უნუგეშო სურათს დავინახავთ, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი გონებრივი აღზრდის სისტემას, რომელსაც დღეს ჩვენში უმეტესი ყურადღება აქვს მიქცეული და რომელიც უმთავრეს მიზნად დაუსახავს, როგორც ჩვენ საზოგადოებას, ისე პედაგოგებსაც. უკანასკნელნი, აღვსილნი „პედაგოგიური ცოდნით“, ცდილობენ, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ მათი მოსწავლეებიდან გამოვიდნენ ცოდნითა და შრომის უნარით აღჭურვილნი პირები, მაგრამ, წარმოიდგინეთ ტრაგიკული მდგომარეობა იმ მებაღისა, როდესაც მისგან დარგული ხე იძლევა სულ სხვა ნაყოფს. ვიდრე ის მოელოდა; წარმოიდგინეთ ჩვენი პედაგოგების მდგომარეობა, როდესაც მათ მიერ აღზრდილნი მოკლებული არიან სწორედ იმ თვისებებს, რომლის შექმნისთვისაც არ ზოგავდნენ იგინი არც ძალას და არც შრომას; როდესაც მისი მოსწავლე, რომელსაც გონებრივი სიმწიფის მოწმობა ჯიბეში უდევს, ცხოვრებაში სრულ უმოქმედობას, უხიადაგობას, სილატაკეს იჩენს. თანამედროვე სკოლამ ჯერ კიდევ ვერ შეიგნო საშუალო საუკუნოების სკოლის ცუდი მხარეები; მხოლოდ ზოგიერთი მოწინავე პედაგოგი მიხვდა შიშის შემწეობით სწავლებისა, ძალდატანების უნაყოფოს და დევიზად გაიხადა შემდეგი პრინციპი: „ასწავლე ისე, რომ გაკვეთილები აინტერესებდეს მოსწავლეებს და მით უკეთ ითვისებდენ იმ ცოდნას, რომელსაც შენ მათ უზიარებ!! პედაგოგიური საღი შეხედულებით ინტერესი პედაგოგის ხელში მხოლოდ საშუალებაა გადაცემისა და მით მოსწავლეების ყურადღების დაპყრობისა. ასეთი პრინციპი არის დღევანდელი სკოლის იდეალი და მისკენ მისწრაფვის საუკეთესო მასწავლებლის რიგი.

**ი. ლიბანელი.**

(შემდეგი იქნება)

წინ. გაფიცვის გამო დაიკეტა იული კინდერმანის სამანუფაქტურო ქარხანა, რომელშიაც 800 კაცი მუშაობდა.

# რუსეთი

**უკრაინელთა პროტესტი**

დეპუტატებმა ა. ფ. კერენსკიმ და ვ. ი. [illegible] მიიღეს კიევიდან შემდეგი დეპეშა: „ჩვენ, უკრაინელ სახალხო მასწავლებლები, [illegible]

**სახალხო-სამეურნეო ინსტიტუტის დაარსება.**

[illegible]

## სხვა და სხვა ამბავი

**ხატები, როგორც ძიების საშუალება.**

გაზეთ „უტრო როსიი“-ში ვკითხულობთ: საქართველოს საექსარხო- [illegible]

[illegible]

## თეატრი და ხელოვნება

29 ივნისს [illegible]

თული წარმოდგენა. დადგეს ირეთელის 4 მოქმედ. დრამა: „სოფლის გმირები“ და „ცოლი თუ გინდა ეს არის“ ვოდ. 1 მოქ. ვ. აბაშიძისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ.ქ. რატიანისა, გამრეკელოვისა, გოგობერიძე და კამკამიძე; ბ.ბ. კორძაია, სიხარულიძე, ქუთათელაძე, დევდარიანი, ფონ-ტეფო, კვალიაშვილი, გამრეკელი და ჯაფარიძე. მოთამაშეთა შორის, აღსანიშნავია ქ. მ. რატიანისა, „ანიკოს“ როლში, რომელმაც უნაკლულოდ დაგვიხატა ჯერ სიცოცხლით სავსე, ქმრის იდეებით მოხიბლულ გატაცებული და მერე ჰლექით დაავადმყოფებული ადამიანის უკანასკნელი სულისკვეთება.

იმისდა მიუხედავად, რომ პატივცემულ ავტორს პიესა: „სოფლის გმირები“ პროვინციის სცენისათვის არ დაუწერია, დრამატიულ წრის გამგეებმა სძლიეს ყოველგვარი ტეხნიკური დაბრკოლებანი და პიესამ ჩინებულად ჩაიარა. მოთამაშენი ყველა თავის ადგილს იყო და საერთო ანსაბლს ხელს უწყობდა.

ვოდევილზე „ცოლი თუ გინდათ ეს არის“, ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეს პიესა ხშირად დადგმულა პროვინციებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიესა მოძველებულია, ჩვენმა სცენის მოყვარეებმა მას სული ჩაუდგეს და მეტად ცოცხლათ ითამაშეს.

დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხაშურის საზოგადოება ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს სათეატრო ხელოვნებას და მით დრამატიულ წრეს საშუალებას მისცემს გაორკეცებულის ენერგიით აწარმოვოს ეს კულტურული დაწესებულება.

**ნიკო გურული.**

## ბალკანეთის მოკავშირეთა შეტაკება

(დეპეშ. პეტ. სააგენტოსაგან)

**26 ივნისი**

**ბელგრადი.** გამოქვეყნებულია მეფე პეტრესაგან დ მინისტრებისაგინ ხელმოწერილი ბრძანება: „ჩემო სერბიელნო! მოხდა ის, რასაც არ ველოდით. ჩვენმა თანამოძმეებმა სისხლით და სჯულით, ჩვენმა მოკავშირეებმა ბულგარელებმა ჩაიდინეს არა ადამიანური საქციელი—გაულიტეს დაჭრილები, დახიეს პირობის ქაღალდი, მახვილით დაარღვიეს ძმური მეგობრობა. აი უკვე 8 დღეა ოვჩის ველზე, მაკედონიაში და ჩვენი სამშობლოს ძველ საზღვრებზე სასტიკი ბრძოლაა, იღვრება ძმის სისხლი. ჩვენი გმირების გული სიმწარით იკუმშება, სერბიელები, დახოცილნი ანდრიანოპოლთან, შეძრწუნებული არიან თავის სამარეში. ბულგარელებს დაავიწყდათ სერბიელების ძმური დახმარება, დაავიწყდათ გმირთა დანთხეული სისხლი, დაღვრილი ფრაკიის ველებზე. მათ მისცეს სლავიანობას და მთელ განათლებულ კაცობრიობას მაგალითი უმადურობისა და გაუმაძღრობისა. ბულგარელების არა ძმურმა მოქმედებამ მომაყენა შეწუხებანი და დაადო წყლული ჩემს სლავიანურს გრძნობას. დიე, სლავიანების ს წინააღმდეგო მოქმედების პასუხის მგებლობა მას დაედოს თავს, ვინც იგი ჩაიდინა. და რისთვის ხდება ყოველივე ეს? იმიტომ, რომ არ უნდათ ძმურად და მშვიდობიანად გაყოფის საკითხი, იმიტომ, რომ უნდათ წაგვართვან ჩვენგან წართმეული მამულები, აკვანი ჩვენის წინაპრების, ნემანიჩების მხარე, თქვენი სისხლით მორწყული, განთავისუფლებული და დაბრუნებული სერბიელების მეოხებით. სლავიანთა ომში დახოცილ გმირთ სამარენი მოგიწოდებენ თქვენ, ღაღადებენ შურის ძიებას. დავიცვათ ჩვენი თავი ჩვენს ერთგულ მოკავშირე ბერძნებთან ერთად. სახელოვანი და განთქმული ჩერნაგორელი შევარდნები იბრძვიან ჩვენს რაზმში, ჩვენი სამშობლოსათვის. სამშობლოს სასიცოცხლო ინტერესები მაიძულებენ მე, გულის ტკივილით მივმართო ჩემს სახელოვან ჯარს და მოვუწოდო, გამოიჩინოს თავგანწირულება და გმირობა, შესაფერისი სახელგანთქმულ გმირებისა, რომელთაც გაიმარჯვეს კუმანოვთან, პრილეპთან, მონასტირთან, ანდრიანოპოლთან. აკურთხოს ღმერთმან ჩემი მხედარნი ამ სამწუხარო ომში, რომელიც მე მაიძულეს“.

**ბელგრადი.** სასტიკი ომის შემდეგ სერბიელებმა აიღეს იშტიბი. ბულგარელები უწესოდ გაიქცნენ.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: ბულგარელებმა თვალსაჩინოდ გაიმარჯვეს. სერბიელთა იერიში ყველგან უკუაგდეს, სერბიელები ძალიან დაზიანდნენ. ბულგარელებმა იერიში მიიტანეს და სერბიელები გააქციეს. ბულგარელებმა სასტიკი ომი აუტეხეს ეგრიპელანკის დამცველთ. კოჩანასთან ცხარე ომი გაიმართა. სერბიელებმა აქაც წააგეს ომი. მეშვიდე ბულგარელების რაზმმა იერიში მიიტანა. ბერძნების იერიშიც ძალიან სუსტი გამოდგა.

**ბელგრადი:** პრეს-ბიურო იტყობინება; როდესაც ბულგარელები 19 ივნისს უკუქცეული იყვენ ბრეგალნიცის მეორე ნაპირას სერბიელებმა 20 ივნისს მიიტანეს გადამწყვიტი იერიში ყოველი მხრივ. 23 ივნის გაიმარჯვეს კოჩანასთან, სადაც ბულგარელების მარჯვენა ფრთა შესდგებოდა 50 ბატალიონისაგან 100 ზარბაზნით გაჭფანტულიიყო. მარცხენა ფრთა შესდგებოდა 10 ბატალიონისაგან და 100 სარბაზნით, გაიქცა ცარევოსელოში. იშტიბის აღებით სერბიელებმა დაამთავრეს გამარჯვება.

**ლიუბლიანკა.** სერბიის სამხედრო სამინისტროს თხოვნით წავიდნენ სერბიაში რამდენიმე სლავიანს ექიმები. მათ შორის არის გამოჩენილი მთელს ავსტრიაში ცნობილი დოსტოქარი შლაიენერი. აგრეთვე წავიდა სლავიანთა შევარდნების მამასახლისი ორშენი. ბულგარეთის თხოვნა: ტირნოვოში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ დახმარების აღმოჩენა უარყოფილია.

**ბელგრადი:** ბულგარელების თავდასხმა ზაიჩარის სამხრეთით გათავდა ბულგარელების უკიდურეს დამარცხებით. ვლასინასთან სერბიელებმა უკუაქციეს ბულგარელები.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**28 ივნისი.**

**უცხოეთი.**

**ვენა** ესად-ფაშამ მოსვლისათანავე ინახულა საგარეო სამინისტრო, სადაც დიდხანს ილაპარაკა.

**ლონდონი.** პალატამ მიიღო 347 ხმის უმეტესობით 244 წინააღმდეგ კანონ-პროექტი შესახებ უელსიის ეკლესიის მდგომარეობის შეცვლისა. კანონ-პროექტი ორჯელ მიიღო პალატამ და უეჭველად ლორდებისაგან უარყოფილი იქნება.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** გაიხსნა კრება მაძებარ პოლიციის უფროსთა. კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მინისტრის ამხანაგი ჯუნკოვსკი, პოლიციის დეპარტამენტის უფროსი ბელეცკი, სამინისტროს უფროსი იურისკონსულტი ტრეგუბოვი, სამინისტროს და ჟანდარმთა წარმომადგენელნი. კრება გაიხსნა ჯუნკოვსკის მისასალმებელ სიტყვით და გაგრძელდება 10 დღეს. მუშაობას ხელმძღვანელობს ბელეცკი.

**ოდესა.** საერობო გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა სათათბიროს წევრი ნესტორენკო, რომელიც სახელმ. სათათ. წევრობას თავს ანებებს.

**პეტერბურგი.** გოროხოვის ქუჩაზე 42 სახლში აფეთქება მოხდა. მიზეზი აფეთქებისა გაზი ყოფილა. მილების გაფუჭების გამო გაზს ოთახი გაუვსია. 14 წლის ბავში შესულა ოთახში და სანათისათვის მოუკიდებია. ბავში სასიკვდილოდ დაშავდა. ფანჯრებიდან გაცვენილ დამტვრეულ ჰიქებს ქუჩაში სამი მუშა დაუჭრია.

## წერილი რედ. მიმართ

პატივცემულო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ, თქვენის პატივცემული გაზეთის „სახალხო გაზეთის“ საშუალებით უღრმესი მადლობა ვუძღვნა ქ. ელენე კონსტანტინეს ასულს კარგარეთელს და ლევან ტარიელის ძეს ჯავრაშვილს, რომელთაც ჩემდამი რწმუნებულს ერთაწმინდის უფასო სამკითხველოს შემოსწირეს პირველმა ოც-და-თხუთმეტი და მეორემ ოც-და-თერთმეტი ქართული სხვა და სხვა წიგნი.

სამკითხველოს გამგე **ოლღა პანტელეიმონის ასული ჟამუტოვი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჟუჟაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67,ბ **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.


# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 პ. **ფომინა-თხიპთვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

დაბა **ხაშური.** 23 ივნისს, ადგილობრივ რკინის-გზის საკრებულოში, ხაშურის ახალმა დრამატიულმა წრემ, მსახიობ ივანე მურვანიშვილის რეჟისორობით, გამართა პირველი ქარ-


# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაკერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **ზ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# ამხანაგობრივი

## პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

## „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რიგვა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავახარდიანი.**

1004

# ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

# ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ მაქარაშვილისა.

# მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს (რულ პანსიონზე.

**ვერა**, იზმაილოვის შესახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

**სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,**

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოვლ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29°/₀ და 35°/₀, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **კნ. სუმბათოვებისა.**

**გამართულია ხელის მოწერა 1913 წლის**

## „ხ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა“-ზე

**გაზეთის ფასი ფოსტით გაგზავნით:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 80 კაპ., 1 თვით 40 კ. **სიღნაღში და სოფლებში:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდე 1 მ. 30 კ., 1 თვით 25 კ., ცალკე ნომერი ყველგან 3 კ. **გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. კანტორა** დროებით მოთავსებულია ქ. შ. წ.-კ. გამ. სიღნაღის გან. **წიგნის მაღაზიაში.** გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებში: სიღნაღში გაზ. „ხმა კახეთის“ კანტორაში, სოფ. ველისციხეში ლ. ბერიაშვილის აფთიაქში თელავში—ვანო პაატაშვილთან, გურჯაანში—ექ. დ. ჯავახიშვილთან, კარდენახში—კოლა დარაშვილთან, ვაქირში მღ. ნ. ბარნაბიშვილთან, ბოდბისხევში—დ. ჩახნაშვილთან, ქვემო-მაჩხაანში—ალექს. ჯანყარაშვილთან, ზაკურციხეში—ორჯონიკიძის მაღაზიაში, საქობოში—სიკო იაშვილთან, ზაქათალაში—ბლად. ბ. ფურცელაძესთან, ჯუგაანში—მღ. ი. შანშიაშვილთან. **გაზეთის დასაკვეთი ფასი და** სხვა ანგარიშები უსათუოდ ამ მისამართით უნდა **გამოიგზავნოს** Сигнахъ К. I. Ткавздзе. 1370

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

## მმ.

## მეგველოვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**

**ახალ-ახალი**

**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა (ქიტკა)**

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღეში, იანი, ფიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა და კონსერვები.**

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მემონობა“**, დრამა 4 მოქმედ. ფასი 30 კაპ.

# ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პრობისა.



200 მა. ღირებულ ოქროს საათის მაგიერ მხოლოდ **4 მ. 70 კ** მოგაწოდებთ საათს **ხრონომეტრს**, რომელიც ფასონით და სიკოხტავით არ ჩამოუვარდება ოქროსას რადგანაც საუკეთესო სპეციალისტიც ძლივს გაარჩევს მას ოქროს საათიდან. ძალიან თხელი საათია, სისქით ვერცხლის მანეთიანს უდრის.



ნამდვილ ამერიკულ ახალ ოქროსაგან თავის დღეში არ ჰკარგავს პირვანდელ სახეს. მორთულია როგორც სურათი იხილე სურათი. საათი **ხრონომეტრისა** ქალის თუ კაცსა განირჩევა თავის სისწორით, ნამდვილი ანკერი 15 თვალით. მოირთება 40 საათში ერთხელ. ფირმის გავრცელებისა გულისათვის ითოე საათს ვუნიშნავთ პრემიას უფასოდ 20 კარგ-ფასიან ნივთს: 1) საათის ჯაჭვი ნამდვილი ამერიკ. ოქროსაგან: 2) ბრელოკიკინემატოგრაფი, რომელიც საინტერესო ქალებს აჩვენებს; 3) ჯიბის საათის ბუდე; 4) ქურდებისაგან დასაცავი საათისა; 5—8) ჯიბის ტყავისაგან გაკეთებული ნესესერი 4 უსაჭიროეს ნივთებით; 9) ტყავის საფულე, საზღვარ-გარედ გაკეთებული 7 განყოფილებით; 10) შტემპელი, შემკვეთელის სახელით, მამის სახელით; 11) ბეჭდის მელანი ქილა; 12) ბეჭედი, სახელით და გვარით, საბეჭდავად გამოსადეგი ნამდვილი ამერიკულ ოქროსაგან. **დუბლე** 13 პარიზული პლასტოგრაფი, რომელიც ისე აჩვენებს როგორც სინამდვილეში არსებობს; 14—19) ექვსი საინტერესო სურათი ამისათვის; 20) სათეატრო დურბინდი, 4 ახრომ ტიულ შუშით, ჩვეულებრივ სიდიდისა ახლოს აჩვენებს ძალიან შორს მდებარეობას. სულ მხოლოდ **4 მ. 70 კ**, 2 საათი **9 მ. 30 კ.** ასეთივე ცრუთ მომუშავე **5 მ. 70 კ**, 2 საათი **11 მ 20 კ.** 6 წლის პირობით. ვგზავნით ფასდადებით დაუბეოდაც. გამოგზავნა 40 კ. ციმბირში 75 კ.

მისამართი Складу часовъ Т—во „Аккуратность“. Вршава. отд. 94.

Метль 38225. 1366

# სნეულებს

## სპერმინ-პელია!

**სპერმინ-პელიათი** მაარგებელ **ავადმყოფებს** ხშირად ატყუებენ მყვირალა რეკლამებით თესლეულების სითხეებზე, ამასთანავე ამ რეკლამებში გასაოცარი უსირცხვილობით ამახინჯებენ ფაქტებს და მოჰყავთ დასასაბუთებლად უცხოელ მეცნიერთა სახელები და შრომანი, რომელთაც **თავის დღეში არ უნახავთ მათი პრეპარატები.** ჩვენ მოვალეობადა ვსთვლით, გავაფრთხილოდ ავადმყოფნი მოტყუებისაგან, რადგანაც მათ პრეპარატებს **საერთო არა აქვთ რა „სპერმინ-პელია“-სთან** და ხშირად შეიცავენ ჯან-საღობისათვის მავნე ნივთიერებას.

ბრძოლაში: **ნევრასტინიასთან, სქესობრივ უძლურებასთან, მოხუცებულთა სიმჩატესთან, ისტერიასთან, ნერვალოგიასთან, სისხლნაკლულებასთან, ჭლექთან, სიფილისთან, ვერცხლის წლით წამლობის შედეგებთან, გულის ავადმყოფობასთან, (გადაჭრბებული სიმსუქნე, გულის კლეროზი, გულის ფრიალი, გულის-ცემა, მიოკარდიტი), არტერიო სკლეროზთან, ლოთობასთან, ხერხემლის გამოფიტვასთან, სიდამბლესთან, ავადმყოფის შემდეგ სისუსტესთან, დაქანცულობასთან** და სხვ., მხოლოდ **სპერმინ-პელიამ** მიაღწია ჩინებულ შედეგებს, რასაც ჰმოწმობენ მთელ მსოფლიოს მეცნიერნი და მკურნალნი.

საჭიროა ყურადღება მიაქციოთ სახელზე **„სპერმინ-პელია“** და უკუჰყაროთ ყოველგვარი სიყალბე და სითხეები სხვა და სხვა სახელებით, რომელთა მავნებლობაზე ცალკე ბროშურაა გამოცემული; ბროშურა უფასოდ ეგზავნებათ „**სპერმინს**“ ახალ ლიტერატურასთან ერთად.

**„სპერმინ-პელია“ იყიდება ყველა აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიაში.**

ორგანოტერაპევტის ინსტიტუტი **პროფეს. ექიმი „პელი და შვ-ბი“.**

მისი იმპერატორატორობითი უდიდებულესობის **სასახლის კარის მოვაჭრე.**

Метцль. 69730. **ს-პეტერბურგი.** 1188

**გამოსულია და იყიდება**

## ი. გედევანიშვილის პიესა

## „მ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.